ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N193

2016 წლის 23 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №212 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის N01/11668 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №212 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის

მიზნობრივი პროგრამა

2016 წელი
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2016 წ
31 დეკემბერი 2016 წ

3. პროგრამის ბიუჯეტი:

21500 (ოცდათერთიათას ხუთასი) ლარი

მ.შ. საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 21 500 ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი_ ადგილობრივი ბიუჯეტი 21 500 ლარი

ბ) დამატებითი 0 ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრაბ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში რომლებსაც არ გააჩნიათ ელემენტარული ხარჯები მიცვალებულთა დასამარხად, ასევე უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები რომლების დასაფლავება ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას. ანალოგიური პროგრამა მუშაობდა 2007-2015წლებში. 2007 წელს დაფინანსდა 213 უმწეო ოჯახი, 2008 წელს დაფინანსდა 356 უმწეო ოჯახი, 2010 წელს დაფინანსდა 140 ოჯახი, 2011 წელს დაფინანსდა 134 ოჯახი, 2012 წელს დაფინანსდა 96 ოჯახი, 2013 წელს 104 ოჯახი 2014 წელს 149 ოჯახი, ხოლო 2015წელს 110ოჯახი. გარდაცვლილთა ოჯახების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაკრძალვისათვის საჭირო თანხა. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 250 ლარს.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

| № | პროგრამის მიზნები |
|---|---|
| 1. | უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში მიცვალებულ პირთა ნაწილობრივ ხარჯის დაფარვა, ასევე უპატრონო მკვდრების დაკრძალვისათვის ხარჯის გაღება. |

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

| # | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვ-ალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვის-ტო | სექტემ--ბერი | ოქტომ-ბერი | ნოემ-ბერი | დეკემ-ბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოქალაქეების განცხადებების მიღება | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 2 | განცხადებების განხილვა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |
| 3 | მოქალაქეებზე დახმარების გაცემა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

9. პროგრამის დაფინანსება:

ა) დაფინანსების წყაროები:

საანგარიშო წელს 21 500 ლარი

1. ადგილობრივი ბიუჯეტი _ 21 500 ლარი

ბ) პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები:

| № | პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება(დეტალურად გაშიფრული) | ღონისძიებების განსახორციელებლად | ხარჯის წილი მიმდინარე |
|---|---|---|---|

| | | საჭირო ხარჯი(ლარი) | ხარჯებიდან(%) |
|---|---|---|---|
| 1. | მიმდინარე ხარჯები | 21 500 | 100 |
| | სულ ხარჯები | 21 500 | 100 |

10. პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების განაწილება კვარტალის მიხედვით:

I კვარტალი 5 500; II კვარტალი 5 500;

III კვარტალი 5 500; IV კვარტალი 5 500.

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია და რაოდენობა:

| # | მომხმარებელთა კატეგორია | რაოდენობა | პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება) |
|---|---|---|---|
| 1 | უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, რომლებსაც არა აქვთ მიცვალებულთა დასაფლავების მინიმალური ხარჯები | 79 | ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით |
| 2 | უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავება | 7 | |
| | სულ: | 86 | |

ბენეფიციართა დაყოფა კატეგორიების მიხედვით საპროგნოზო ხასიათს ატარებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თანხის გადმოტანა საჭიროების მიხედვით, ბენეფიციართა რაოდენობის არ შეცვლით.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებელის ან და გამგებლის მოადგილის რეზოლუციით შედის სათანადო სამსახურში სადაც  განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა. რის შემდეგაც სამსახური მიმართავს გამგებელს თხოვნით დახმარების გაცემის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გამგებლის ბრძანება თანდართული დოკუმენტაციებთან ერთად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, რომელიც მომართავს გამგეობის მუნიციპალიტეტს განცხადებით გარდაცვალებიდან ორი თვის ვადაში  და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. გარდაცვალების მოწმობა
2. თანხის მიმღების პირადობის მოწმობა
3. ქალაქის, თემის, სოფლის რწმუნებულის რწმუნება თანხის მიმღების თაობაზე.
4. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ან მოწმობა  ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ

(სარეიტინგო ქულა 0 _ 70 000 ქულის ჩათვლით)

უპატრონო ან მარტოხელა მიცვალებულთა დასაფლავებისათვის:  იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი გარდაიცვალა სახლში: რწმუნებულის რწმუნება, მიმღების პირადობის მოწმობა, აქტი მეზობლებიდან. თუ გარდაიცვალა საავადმყოფოში მომართვა დამატებით საავადმყოფოდან და საპატრულო პოლიციიდან.

დამატებითი  ინფორმაცია:

თანხა შესაძლებელია აგრეთვე გაიცეს ქალაქის, თემის, სოფლის რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი რწმუნების თანახმად მითითებული მოქალაქეზე, რომელიც მოგვმართავს მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილობით მიუხედავად იმისა არის თუ არა ის აღნიშნული ოჯახის წევრი.

პროგრამაში გათვალისწინებული იქნება 2015 წელს გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახები რომლებიც მომართავენ მუნიციპალიტეტის გამგეობას 2016 წელს გარდაცვალებიდან ორი თვის ვადაში.

გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში რაიონის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.